საქართველოს პარლამენტის წევრების: შოთა ბერეკაშვილის, არჩილ გორდულაძის, ანტონ ობოლაშვილისა და გიორგი ბარვენაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: **„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“** და „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№326/3-XIმპ, 20.05.2026)

გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველი ფურცელი

N	შენიშვნის ავტორი	შენიშვნის შინაარსი	გათვალისწინების მდგომარეობა
„ტურიზმის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი			
1	**საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი**	მიზანშეწონილია კანონპროექტით გათვალისწინებული კანონის მე-11[1] მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს ახლებურად, ისე რომ არ იმეორებდეს მე-11 მუხლის სათაურს.	**გათვალისწინებულია** კანონპროექტით გათვალისწინებული კანონის მე-11[1] მუხლის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: **„ტურისტული საქმიანობების სუბიექტების ბაზაში რეგისტრაცია“.** აღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე ტერმინთა განმარტებაში დაემატა ტერმინის „ტურისტული საქმიანობების სუბიექტების ბაზა“ განმარტება.
2	**საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი**	მიზანშეწონილია კანონის ტექსტში დარჩეს ერთ-ერთი ტერმინი - ან რისკის შემცველი ტურისტული მომსახურება ან რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობა.	**გათვალისწინებულია** ტერმინი „რისკის შემცველი ტურისტული საქმიანობა“ შეიცვალა ტერმინით - „რისკის შემცველი ტურისტული მომსახურება“.
3	**საქართველოს პარლამენტის იურიდიული დეპარტამენტი**	მიზანშეწონილია კანონპროექტით გათვალისწინებული კანონის 49-ე მუხლი მე-2-მე-7 პუნქტები გასწორდეს იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით.	**გათვალისწინებულია** დაკორექტირდა კანონპროექტით გათვალისწინებული კანონის 49-ე მუხლის მე-2-მე-7 პუნქტები და შესაბამისი ცვლილებები ასევე განხორციელდა კანონის 51-ე მუხლში.